


საქართველოს



იმისთანა წმინდა საცმეში,
ბეჭდებიც ბეჭდუდნი სიფყვას,
ცყუილებით და ჭებრებით ბუბთის
გაცანა ყველა უკადრისმბაჭე
უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.
ოთხშაბათი, 7 აპრილი, 2013 წელი.
№148 (7275)

რუსულენოვანი

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

**რატომ ჰქონდა
ზურაბ ჟვანიას თავი
და ტანი გაკერილი?**



4

ანუ ვინ იყო დაინფორმებული სამხრის
გამოძიებით და როდის განიხილა იგი?

**უნიკალურად თუ არა რუსეთისა და
საქართველოს
ომის ⑧
თავიდან
ასილება?**



**აკონოვიკის გასაჭირი
და პირუშუბაკა ნაცები**

„გეოგრაფიკი“,
არ უეზინდეთ,
„ნაცები“
მოგახედავებინან!.. ③

**მართლა მიღინართი?
საღ მიღინართი? ②
რატომ მიღინართი?**

კიდევ ერთი ღია წერილი
საქართველოს პრემიერ-მინისტრს

**აღამ ჯეკსონი
ბედნიერების
ათი მუღამი**



**იკვებებებ
პირველებად**

6-7

**კუტინთან უხეველა უორი
პერსპექტივა არ არის... ②**

**გელადი
საბალობლებს
მღეროდა!.. ⑨**



რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სვებებან ვერ ნახავ!..

ძეგლებში მოცული ბებური ჩინელი, ანუ დოქტორი დაო ჩინდება ამ გასათვარი პატარა წიგნის გმირების ყველაზე კრიტიკულ წამებში. და თითოეული მათგანის ცხოვრება იცვლება სასწაულებრივად. ამ წიგნის ერთ-ერთი გმირი — თავად აგტორია, ვინაც თავის თავზე გამოისყადა მის მიერ აღწერილ პრაქტიკულ საქმეთა ძალა. და გვიჩვენებს რამდენიმე შეკითხვა თქვენც, ძვირფასო მკითხველო: გვითხარით, ბიზნისად თქვენ ხართ ბედნიერი? რატომ, რომ ასე ცოტა ხალხი მიიწვევს თავს ბედნიერად? იქნებ, ჩვენ თავად ვეძებთ ბედნიერებას იქ, სადაც შეიძლება მოიპოვო იგი? ამ წიგნის გმირთა ისტორია რეალურ შემთხვევებზეა აგებული. ყველა ამ ადამიანმა გაიმარჯვა ბიზნის სფეროში და მოიპოვა ბედნიერება. გამოიყენეთ, ჩვენო მკითხველო, თქვენც ბებური ჩინელის საიდუმლოებანი, იყავით ბედნიერი და თავისუფალი ჩვენს დღევანდელ რთულ სამყაროში... და იმედი გვაქვს, მიაღწევთ ჭეშმარიტი ბედნიერების დალოცვას და მარადიულ თანადრობას. აგტორია წიგნის თავისი ცოლის კარგებისა და შვილების — სოფიასა და სემუელის მარადიულ სიყვარულს უბოძებს. რაც შეეხება წიგნის ავტორს, ადამ ჯექსონს, იგი ინგლისელია, 1962 წელს სისექსში დაიბადა, პროფესიით თურისტი, საუტგემპლიონის კურსდამთავრებული. თუმცა, მალე ხელი აიღო თურისპრეზიდენტობაზე და სამეცნიერო ჟურნალების ყოველივე კომენტატორი გახდა, რომელიც ახალ სამედიცინო მიღწევებს იუწყებოდნენ (მანამდე მთელი ათი წელიწადი საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა შესწავლას მიაწვდიდა). ჯექსონის კალამს ეკუთვნის არაერთი ფრიად ბიოლოგიური წიგნი ჯანმრთელობის სიმდიდრის, სიყვარულის „ათ-ათ საიდუმლოზე“, რომელთაგან ერთ-ერთი ბოლო, „ბედნიერების ათი მულაში“ მსოფლიოს ოცდაშვიდ ენაზეა თარგმნილი.

შესავალი

ბედნიერების საიდუმლო მოგვცის სამყაროში, იგი კი იაქიმე იქვენს გვერდითაა მარჯვნივ და ყველაზე ლამაზად უნდა იხილო ხელის გაშლასზე ყოველი კაცი...
კორასიუსი

პკითხები ნებისმიერ ადამიანს, თუ ყველაზე მეტად რა უნდა ცხოვრებისგან და ყველაზე გავრცელებული პასუხი, რაც შეიძლება მოისმინო, იქნება სიტყვები: „უბრალოდ, მიწა ბედნიერი ვიცი“. მაშ, რატომა ასე ცოტა ბედნიერი ადამიანები? რატომ, რომ ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული და დარგი წამლებს წარმოებაში ანტიდოპინგს ატარებენ? რატომა ასე ცოტა იმ ადამიანების რიცხვი, ვინც თავს ბედნიერად მიიჩნევს? იქნებ ბედნიერებას სულაც არ ვეძებთ იქ, სადაც მისი მოპოვება შეიძლება? დარწმუნებული ვარ, ჩვენ გვაქვს უნარი, გავხდეთ ბედნიერები იმისდა დამოუკიდებლად, თუ რამდენ ფულს გამოვიმუშავეთ, რა თანამდებობაზე ვმუშაობთ და სად ვცხოვრობთ. როგორც უნდა იყოს ჩვენი ცხოვრების ვითარება ამ მომენტში, შეგვიძლია ვიყოთ არა უბრალოდ ბედნიერები, არამედ განვითარდეთ ბედნიერება მთელი სიცოცხლის განმავლობაში და სისრულაში. ჭეშმარიტი ბედნიერება არა იმდენად დათრგუნვისა და ტანჯვის არარსებობაშია, რამდენადაც სიხარულის შეგრძნებაში, ცხოვრებით კმაყოფილებაში და ალტაცებაში. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ადამიანს შეუძლია ან უნდა იყოს მუდმივად ექსტაზში. ბოლოს და ბოლოს, ჩვენს ცხოვრებაში არის წამები, როდესაც გადავეყრებით ხოლმე პირად ტრადიციებსა და დანაკარგებს, და მათ არ შეიძლება თან არ ახლდეს სასესებით ბუნებრივი მსუნარება, ვაი და განბილება. მაგრამ არსებობს საშუალებები, რომელთა დახმარებითაც შეგვიძლია, თავი გავართვათ ამ განცდებს და ძალიან ხშირად ჩვენ შეგვიძლია ცხოვრებისეული წამებიანი და უბედურებანი გამარჯვებად ვაქციოთ. იგავთა უმრავლესობისგან განსხვავებით, ამ წიგნის გმირთა ყველა ისტორია (ბებური ჩინელისაგან განსხვავებით, რომელიც იმ რამდენიმე ბრძანების განზოგადებული სახეა, ვისაც მე ვიცნობ) რეალურ შემთხვევებს ემყარება. რასაკვირველია, იმის იმედით, რომ თხრობა უფრო საინტერესო გამოსულდგომს, შევცვალე მერსონაჟების სახელები და ცხოვრების გარკვეული ვითარებანი, თუმცა, ყველა ამ ადამიანმა მართლაც მოიპოვა გამარჯვება თავიანთ ინდივიდუალურ კრიზისებში და პირადი ბედნიერება ისე, როგორც ეს აღწერილია ყოველ თავში. დიდი იმედი მაქვს, რომ მათი ისტორია და თავდადასაველები შთაგონებით ალგავსებენ თქვენც და აამალებენ თქვენს სულიანკვებებს, მიბაძავთ მათს მაგალითს და თქვენს საკუთარ ცხოვრებაში ჭეშმარიტი ბედნიერების ლოცვა-კურთხევას.

კახი საქსიან

ყველაფერი ოქტომბრის ცივ და წვიმიან საღამოს დაიწყო, როდესაც სამსახურიდან სახლში მიდიოდა. დაახლოებით რვა საათი იყო — ამ კვირაში უკვე მესამედ მოუწია, შემორჩენილიყო სამუშაოზე. მთელი დღე ცას ღრუბლები არ მოშორებია და, როგორც ჩანს, ზეცა ყველაზე საშინელ თავსხმას ინახავდა სწორედ იმ მომენტისთვის, როდესაც ეს კაცი სახლისკენ გაემშრდა. მისი ფიქრები შეწყვიტა შეკითხვამ, რადიონამყვანმა რომ დასვა. ეს იყო მეტად მარტივი შეკითხვა — შეკითხვა, რომელიც ახალგაზრდა კაცს შეგნებულად არასოდეს დაუსვამს თავისი თავისთვის, თუმცა მასზე პასუხმა სულ უფრო და უფრო შეაშფოთა იგი. დასმული შეკითხვის საბაზი გახდა მთელ ქვეყანაში მოწყობილი გამოკითხვა, რომლის დროსაც აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ერთ ადამიანს ორმოცდაათიდან მიიჩნია თავი ბედნიერად ან კმაყოფილად და მხოლოდ ათიდან ერთმა შეძლო, გაეხსენებინა ასეთი გაეცხება! თავის ცხოვრებაში — მხოლოდ ერთი გაეცხება! — როდესაც თავი მართლაც ბედნიერად მიიჩნია. რადიონამყვანმა დაუსვა მსმენლებს უბრალო და პირდაპირი შეკითხვა: „ხართ ბედნიერი?“ — ამ სიტყვებმა აიძულეს ახალგაზრდა, დაფიქსირებულიყო საკუთარ ცხოვრებაზე. მან ვერ შეძლო გამოეხატა სიტყვებით, თუ, კერძოდ, რა აკლდა მას: მას ჰქონდა შესაშური ჯანმრთელობა და კარგი სამსახური, ყოველთვის იხდიდა ანგარიშებს და დრო და დრო ხარჯავდა კიდეც ფულს მცირე კმაყოფილებისთვის; ჰყავდა ახლო მეგობრები და ჰქონდა საყვარელი ოჯახი. და მაინც, მიუხედავად ყოველივე ამისა, ის თავს შინაგანად დაცლილად, ცხოვრებისგან განბილებულად მიიჩნევდა. რაღაც არ ჰყოფნიდა, და მან არ იცოდა — კერძოდ რა — იცოდა მხოლოდ, რომ მის ცხოვრებას აკლია რაღაც მეტად მნიშვნელოვანი. იყო ბევრი სიტყვა, რომლითაც მას შეეძლო აღენერა თავისი ცხოვრება, მაგრამ სიტყვა „ბედნიერება“ ნამდვილად არ შედიოდა მის რიცხვში. ტორომ ოდესღაც თქვა: „ადამიანების უმრავლესობა თავის ცხოვრებას წყნარ სასონარკვეთილებას ატარებს“, და ახალგაზრდამ გაიფიქრა, რომ ეს არის მისი საკუთარი არსებობის ზუსტი აღწერა. თითქოსდა, ყო-

ადამ ჯექსონი

ბედნიერების ათი მულაში



მზადყოფნით აღიარებდა კიდეც ამას — გაიღიებდა და იგრძნობდა ჭეშმარიტ ბედნიერებას.

შენკარა

როდესაც ახალგაზრდა თავის მანქანასთან მივიდა, დაინახა მის გვერდით მდგომი ვილაჯ კაცი. საკმაოდ საინტერესო ტიპი იყო — ბებური ჩინელი თურ კომბინეზონში და ბეისბოლის კაშკაშა ყვითელ კეპში. ის იყო დაბალი, კეთილი, ნაოჭებიანი სახით, დავარცხნილი ჭალარა თმებით, მაგრამ პირველი, რასაც ახალგაზრდამ მიაქცია ყურადღება, იყო მოხუცის თვალები. მას ჰქონდა მეტად ღრმა, მუქი თაფლისფერი და მხიარული თვალები. როდესაც ახალგაზრდა ახლოს მივიდა, მოხუცმა გაუღიმა: — საუცხოო ქარიშხალია, ხომ? — თქვა მან. — ცივი, ნესტიანი და საზიზღარი, თუ ჩემი აზრი გაინტერესებთ, — წაიდუღუნა ახალგაზრდამ. თითქოს არ გაუგონიარო ახალგაზრდის სიტყვები, მოხუცი ჩინელი განაგრძობდა: — გრძნობთ ამ ენერჯის? ჰერში ამ სიგრძელს? ნუთუ არ იწვევს ეს თქვენში სილამაზის შეგრძნებას? „დიდად არა“, — გაიფიქრა ახალგაზრდამ თავისთვის, მაგრამ არაფერი უთქვამს. ახლა მას შეეძლო შეეხებოდა უცნაური მოხუცისთვის მეთი ყურადღებით. გრიგალი ჩადგა სულ ერთი ნუთის ადრე მანამდე, სანამ თავის მანქანასთან მივიდოდა, ძველებურად მოდიოდა წვრილი წვიმა, მაგრამ მოხუცი მთლად მშრალი იყო. მასზე ერთ წვეთ წვიმასაც ვერ შენიშნავდა. მაგრამ სანამ ამაზე შეეკითხებოდა, მოხუცმა კვლავ დაილაპარაკა. — მაშ ასე, რა მოხდა აქ თქვენთან! — შეეკითხა იგი. — რა გაქვთ მხედველობაში? მე მითხრეს, რომ მომიწევს მთელი საათით ლოდინი, ვიდრე ვინმე გამოჩნდებოდეს, — უპასუხა ახალგაზრდამ. — რას იზამ, ცხოვრება აღსაესვა სიურპრიზებით, — ფართო ღიმილით თქვა მოხუცმა, — მაშ ასე, რა ხდება? — არ ვიცი, კერძოდ რა მოხდა, — განუმარტა ახალგაზრდამ. — უბრალოდ მივიდიდი გზაზე, რომ კაპოტიდან მოულოდნელად ამოვარდა კვამლი და მოტორი უბრალოდ გაითიშა. — კეთილი, მოდი ვნახოთ, — თქვა მოხუცმა, აიკაპინა ხელები, მივიდა კაპოტთან და დაიწყო მოტორის თვალიერება. რამდენიმე წუთის შემდეგ ასწია თავი, შემობრუნდა ახალგაზრდისკენ და კვლავ გაიღიმა. — არ ღირს მიიღოთ ასეთი შემოთხვევა სახე. არაფერია ისეთი, რომლის გასწორებაც არ შეიძლებოდაც, — თქვა მან. — მაგლობა ღმერთს, — აშკარა შევბით წარმოთქვა ახალგაზრდამ. — რამდენიმე ათასი გირვანქა სტერლინგი დაგიჯდებათ... მაგრამ შეკეთება აუცილებლად შეიძლება! — დაუმატა მოხუცმა. — ო, ღმერთო! თქვენ რა, ხუმრობთ? — ნამოიყვირა ახალგაზრდამ. მოხუცმა ახალგაზრდას მხრებზე ხელი დაჰკრა და ჩაიციხა: — რასაკვირველია, ვხუმრობ.

ფარეხი

ბროქსის ორი მოხალავე ბანაბრობს



უნბრეთის დედაქალაქში მოფარეხიკავთა მსოფლიოს ჩემპიონატზე შეჯიბრებაში პირველები მოხალავენი ჩაებნენ. ქართველ მუშკე...

კალათბურთი

კოკოშკოვა 4 ზედეგი დაითოვა

საბრთმელოს საკალათბურთო ნაკრები, რომელიც ამჟამად სლოვენის ქალაქ პოდრეტრეკში იმყოფება, 2013 წლის ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას 15 მთამაშის შემადგენლობით გააგრძელებს.



ტერთაგან მედლებისთვის იბრძოდნენ სანდრო და ბექა ბაზაძეები, მიხეილ მარდალეიშვილი და საბა სულამანიძე. 18-წლამდელებ-

ში ევროპის წლევანდელმა ჩემპიონმა სანდრო ბაზაძემ ჯგუფში ექვსიდან ხუთი მეტოქე დაამარცხა - ტედი უელერი (ვირჯინიის კუნძულები, 5:1), იანივ მაიმონი (ისრაელი, 5:1), უოზეგ პოლოსი-ფაკისი (კანადა, 5:3), სადეს ჩანდანი (შრი-ლანკა, 5:0), ადრიან აკუნა რამირესი (მექსიკა, 5:4) და მხოლოდ ერთი ორთაბრძოლა წააგო ჰონგ კონგელ თინ ჰო ლოუსთან - 2:5, თუმცა მასთან რევანშის შანსი დღეს მიეცემა: პლეიოფში ოცდამეთორმეტედღინაღის პაექრობას სწორედ მასთან გამართავს.

საქართველოს ნაკრების სხვა წევრებიდან საბა სულამანიძემ ჯგუფში სამ შეხვედრაში გაიმარჯვა - ტარიკ რუიზს (ჩილე, 5:2), შუნ ტანაკას (იაპონია, 5:2) და ილია მოკრეცოვს (ყაზახეთი, 5:4) სძლია, შემდეგ ორი შეხვედრა დათმო, მაგრამ პლეიოფში მაინც გავიდა, იქ მექსიკელ ჯულიან აიალას დააყრევინა ფარ-ხმალი - 15:12 და დღეს გერმანულ ნიკოლას ლიბაბს შეხვდება. რაც შეეხება ნაკრების ორ წევრს - ბექა ბაზაძეს და მიხეილ მარდალეიშვილს, ისინი ერთმანეთს შეჯიბრებას გამოეთიშნენ.

ლაზა დიდი

სურბათი: მარცნიდან - მიხეილ მარდალეიშვილი, სანდრო ბაზაძე, საბა სულამანიძე და ბექა ბაზაძე.

ცნობით, ეროვნული გუნდი აპრინებზე 15 კალათბურთელით ჩავიდა, ხოლო 4 კანდიდატი, რომელმაც სლოვენიაში პირველი შეკრება გაიარა, თბილისში დაბრუნდა.

ვიტალი ჯაფარიძე

საგო

მსოფლიოსთვის ეზაღებინ



წლეულს ქაბუკ და ახალგაზრდა სამბისტა მსოფლიოს პირველობა 11-14 ოქტომბერს სალონიკში (საბერძნეთი) გაიმართება. შეჯიბრებისთვის უკვე მომზადების მიზნით ჩვენმა ბიჭებმა ერევნის საერთაშორისო ტურნირში იასპარეზეს 7 ქვეყნის წარმომადგენლებთან და 17 მედალი მოიპოვეს: კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ გიორგი მელქუაშვილი (48 კგ), ირაკლი კუპატაძე (52), თორნიკე ჭოველიძე (65), გიგა ნოზაძე (70), ირაკლი გოგია (81), ფრიდონ შარქაძე (87) და გიორგი ლაზუაშვილი (+87). ფინალური პაექრობები დათმეს და მეორე ადგილები დაიკავეს იოსებ მელაძემ (52), ვარლამ შალიკაშვილმა (65), ჯონი ჭითანავამ (87) და ზაზა გოჯიაშვილმა (+87), ხოლო ზურაბ როსვაძე (48), გოგა ცერცვაძე (52), გიორგი მეტრეველი (65), გიორგი გუგულაშვილი (65), ლევან დიხამინჯია (70) და შმაგი დადუნაშვილი (70) ბრინჯაოს მედლებს დასჯერდნენ.

ლემო ცინცაძე

პოლიციელთა ოლიმპიადა

დებიუტი - მედლებით



საბრთმელოს შს სამინისტროს წარმომადგენლები წლეულს პირველად მონაწილეობენ მსოფლიო პოლიციის და სახანძრო სამსახურ...

რის სპორტულ ოლიმპიადაში, რომელსაც ბელფასტი (ჩრდილოეთ ირლანდია) მასპინძლობს. ასპარეზობის პირველ დღეს გიორგი ბერძენიშვილმა 400 მეტრზე თავისუფალი ყაიდიტ ცურვაში ვერცხლის მედალი მოიპოვა. ძიუდოსტთა პაექრობაში ზვიად ჩინჩალაძე მძიმე წონაში პირველ ადგილზე გავიდა, უშანგი კუზანაშვილი (66) კი მეორე იყო. შეჯიბრება, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ იმართება, 12 აგვისტოს დასრულდება.

ვაჟა ნოსირელი

ჩოგბურთი

წინა კვირის მონაბრით

ჩოგბურთიელ ქალთა საერთაშორისო ფედერაციამ (WTA) გამოაქვეყნა განახლებული კლასიფიკაცია. ჩვენებურთა მონაგარი ასეთია: 112 (94), ანა ტატიშვილი (624 ქულა), 272 (288), სოფიო შაფთავა (179), 295 (298), ოქსანა კალაშნიკოვა (160), 435 (435), მაკა ჩახნაშვილი (83), 475 (486), ეკატერინე გორგოძე (71), 551 (575), სოფიო ქვაცაბაია (52), 991 (864), ნათია გეგია (10).



ვითარება

უნბრეთში რომ ფერნანდო ალონსო გაიხუმრა, ჩემთვის საიუბილეოდ საუკეთესო საჩუქარი ჩვენი მეტოქეების მანქანები იქნებოდაო, ამას „ფერარის“ შეფ ლუკა დი მონტემპოლოს საკმაოდ მკაცრი კრიტიკა მოჰყვა. მალე ამ კრიტიკას მოჰყვა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ალონსოს გადაბირებას „რედ ბული“ ცდილობს. ბევრმა ეს ორი ისტორია ერთმანეთს დაუკავშირა, თუმცა, ამის მიუხედავად, დი მონტემპოლოს ტონის შერბილება არც უცდია.

ინტერნეტიდან

ერიკ ლამელას, შესაქლოა, „რქები დააღან“

ცოტა ხნის წინათ იტალიურმა „ყვითელმა პრესამ“, კონკრეტულად კი ერთ-ერთმა აპენინურმა ბულვარულმა ჟურნალმა იტალიური „რომას“ ახალგაზრდა არგენტინელი ფეხბურთელის ერიკ ლამელას სატრფო ერთობ საინტერესო ვითარებაში დააფიქსირა.

რატომ სახეივარსებს ლუკა დი მონტემპოლო ფერანდო ალონსო?



ორ რიგში დადგომა შექმნის. მან ჩვენთვის ძალიან ბევრი გაიღო და ვიცო, რომ სილვესტროს შემდეგ განსაკუთრებით უკმაყოფილოა. ეს ჩემთვის გასაკვირია, მაგრამ მე არ მომეწონა მისი დამოკიდებულება, სიტყვები. და მე ეს ალბენი შენი კიდეც. მე ყველას შევას...

სენე, მათ შორის პილოტებსაც, რომ ყველაფერზე წინ „ფერარი“ დგას, პრიორიტეტი გუნდია. ეს ოჯახივითაა, რომლის მამაც მის წევრებს ოჯახის პატივისცემისკენ მოუწოდებს და მე ოჯახურ ფასეულობათა კონცეფციას ვუსვამ ხაზს.

მანუარ ბიორბაძე



ეკოლოგიური ხელოვნება

ჩხვიძე ქალაქის ქუჩებში არც ისე იოლია ფესსაცმლის სუფთად შეწმენდა, ამიტომ არის, რომ ზამთარ-ზაფხულს, დარში თუ აგდარში ფესსაცმლის მწმენდელებს უფრო კიდევ აქვთ სამუშაო. ისინი დღეს საქართველოში ცოტანი არიან, თუმცა, ძირითადად საქირო და შესაფერის ადგილებზე – სადგურის მოედანზე მუშაობენ.

ფესსაცმლის მწმენდელი თავის სამუშაოს ასრულებს და, როცა მიწვინისაა, თავი არ აუწვევია ისე გადმოიტანა მზერა ჯერ ჩემს ფესსაცმელზე, შემდეგ სახეზე და მკითხა:

– ფესსაცმლის განწმენდა გინდათ?

– დიახ, რა ღირს თქვენთან ფესსაცმლის განწმენდა?

– ერთი ლარი, ორი ლარი, 80 თეთრი.

– რამდენ ხანს უნდა დავილო?

– ფესსაცმლის განწმენდას ვუწოდებო? ორი-სამი წუთი, თუ ჩქემა არის ხუთი წუთი უნდა.

– რა გქვიათ და რა გვარი ხართ?

– იშო აშკაშიძე ვარ.

– საიდან ხართ წარმოშობით?

– სამტრედიიდან ვარ. ისე წარმოშობით ასირიელი ვარ.

ასე დაიწყო ჩვენი საუბარი. ძალიან გამიხარდა, როცა გავიგე, ბატონო იშო ასირიელი ყოფილა. ეს პროფესია ხომ სწორედ იქ დაიბადა, ფესსაცმლის წმენდა საბჭოთა კავშირში ასირიელების ბიზნესი იყო. 1914 წელს ირანიდან და თურქეთიდან გამოქვეყნდნენ სხვადასხვა ქვეყნებში აღმოჩნდნენ. საქართველოში ჩამოსახლება კი 1927 წლიდან დაიწყო. და ისმოდა დიდ ქალაქებში მათი შეხახილება – Чистим, блеск навозим, лакируем!!!

ეს ეგზოტიკური სამუშაო უჩვეულო სავარძლით იპყრობს ყუ-

რადლებას, რომელზეც კლიენტის ზის, ფეხები კი სპეციალურ კიბეზე ულაგია. ფესსაცმელზე მუყაოს ქალაქს უწყობენ, რათა წინდები არ დაეხვაროს. ჯერ მტვერს აშორებენ, შემდეგ კი სპეციალურ კრემს უსვამენ, რომელსაც ბევრი საიდუმლო რეცეპტით თავად ამზადებენ. ერთმანეთში რამდენიმე

– არა, მაგრამ რას იზამ, გაჭირვებაა. მე სხვა ხელობა არ ვიცი. ფესსაცმლის განწმენდა ვიცი და შემიკვრება.

– ამბობენ, სამხედროებს ფულს არ აართმევინო, მართალია?

– დიახ, მე რომ ვმუშაობდი ადრე, ჯარის ბიჭებს ფულს არ ვართმევდი. იმიტომ, რომ ხელფასი არ ჰქონდათ. კომუნისტების დროს პოლიციელებიც არ იხდიდნენ ფულს.

– რა კატეგორიის ხალხს დადის ძირითადად?

– ყველა კატეგორიის მოდის. მნიშვნელობა არ აქვს, რა ნაციაა.

– ქალებიც დადიან?

– ქალებიც დადიან. ახალგაზრდაც მოდის, მოხუციც.

– დღეს რამდენი ადამიანი მოდის?

– კომუნისტების დროს ხალხი ბევრი იყო, ახლა დღეს ათით-თხუთმეტით კაცი თუ მოვა.

– რომელი საათიდან რომელ საათამდე მუშაობთ?

– დილის რვა საათიდან საღამოს რვა საათამდე ვმუშაობ.

– ახერხებთ კი ოჯახის რჩენას?

– ოჯახს ვარჩენ ასე, ბაბუ, აბა?

– წესით თქვენ მცირე მწარმე ხართ. სახელმწიფოს თუ უხდით თანხას?

– მა, რა, ზამთარში ორმოცდასამ ლარს ვიხდი. ჩვენი ფულიც შედის ბანკში.

– როგორი ამინდი გინვობთ ხელს მუშაობაში?

– ამინდი მინდა მზიანი, ერთი კვირის მერე წვიმა, რომ ტალახი იყოს და დაისვაროს ხალხი (იცინის).

ბევრ ქვეყანაში ეს პროფესია უკვე აღარ არსებობს. მას გაქრობის საფრთხე საქართველოშიც ემუქრება. ალბათ, მეტროს ამოსასვლელშიც მანამ შევხვდებით ამ საქირო პროფესიის მქონე ხალხს, სანამ ისინი ცოცხლები იქნებიან.

– რამდენი ხანია, რაც ამ სამუშაოს ასრულებთ?

– რაც ჯარიდან ჩამოვედი, მას შემდეგ ვმუშაობ აქ.

– ეს სამუშაო თქვენთვის სიახლოვნებაა?

თინათინ დვალი

ფესსაცმელს ვინღა გაგვიპირიალებს?..



ფესსაცმლის განწმენდას ვუწოდებო? ორი-სამი წუთი, თუ ჩქემა არის ხუთი წუთი უნდა.

ჯაგრისით ფესსაცმელს უსვამენ, რამდენიმე წუთის შემდეგ ეგ მესამე ჯაგრისით წმენდენ და ბოლოს ზავერდის ნაჭრით აპირიალებენ.

– ბატონო იშო, ვინ შეგასწავლათ ეს პროფესია?

– მამამ მასწავლა. ბაბუჩაჩემი და მამაჩემი მუშაობდნენ ადრე სამტრედიისში. ახლა ვმუშაობ აქ, თბილისში, ბიძაშვილის ადგილზე.

– რამდენი ხანია, რაც ამ სამუშაოს ასრულებთ?

– რაც ჯარიდან ჩამოვედი, მას შემდეგ ვმუშაობ აქ.

– ეს სამუშაო თქვენთვის სიახლოვნებაა?

ინფორმაცია

სისხლი ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის

საპარტივილი ფინანსთა სამინისტროსა და იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს „სისხლის ბანკში“ გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა ლეიკემიით დაავადებული ბავშვების სიცოცხლის გადასარჩენად უკვე მეორედ გაიღეს სისხლი.

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, აქცია „გაიღეს სისხლი – გადაარჩინე სიცოცხლე“ გუშინ, საგამოძიებო სამსახურის სპეციალური დანიშნულების რაზმის შენობაში ჩატარდა.

ლეიკემიით დაავადებული ბავშვების დახმარების-

თვის სისხლის საგამოძიებო სამსახურის 30-მდე თანამშრომელმა სისხლი უანგაროდ გაიღო. აქციაში საგამოძიებო სამსახურის უფროსის მოადგილე თამარ მაჭავარიანი და სპეცრაზმის წევრები ჩაერთვნენ.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, საქართველოში 18 წლამდე ასაკში ყოველწლიურად ლეიკემიის 40 ახალი შემთხვევა ფიქსირდება. ბავშვების მკურნალობისთვის ძირითადად ქიმიოთერაპიის რამდენიმე კურსია საჭირო, შესაბამისად, პაციენტთა კლინიკაში დაყოვნების პერიოდი 9 თვეს მოიცავს. ქიმიოთერაპიის კურსის შემდგომ თითქმის ყველა შემთხვევაში საჭირო ხდება სისხლის გადასხმა.

ჩხვიძე კარაბაღიანი

სტატინები ფრიბიდულოვის წინააღმდეგ

სისხლში ქოლესტერინის გაზრდილი შემცველობა მნიშვნელოვნად ზრდის ქალებში სექსუალური ფუნქციის დარღვევის რისკს, აღმოაჩინეს იტალიელმა მეცნიერებმა.

ჰიპერლიპიდემია არის უშუალო მიზეზი ათეროსკლეროზისა – არტერიების კედლებში ცხიმოვანი ბალთების წარმოქმნისა, რომლებიც ავიწროებენ სისხლძარღვთა საშუქს. ეს პროცესი უდევს საფუძვლად გულის იშემიურ დაავადებას, იშემიურ ინსულტებსა და სხვა დაავადებებს. მამაკაცებში ჰიპერლიპიდემიის ერთ-ერთი შედეგია იმპოტენცია, ვინაიდან სისხლძარღვთა ათეროსკლეროზული დაზიანება აქვეითებს სასქესო ორგანოს კავრული სხეულების შევსებას სისხლით.

მაგრამ ქალის სასქესო ალგზების ზოგიერთი შემადგენელი ნაწილიც დამოკიდებულია ასევე გენიტალიებთან სისხლის მიდინებაზე. იტალიელმა მკვლევარებმა ერთმანეთს შეადარეს სასქესო ფუნქციის ისეთი მაჩვენებლები, როგორცაა ალგზების ხარისხი, ორგანიზმის დადგომის სისწრაფე, ქალებში სასქესო ცხოვრებით კმაყოფილება და ა.შ. აღმოჩნდა, რომ ქალების სისხლში ქოლესტერინის გაზრდილი დონით სექსუალური მოშლილობა შეინიშნება უფრო ხშირად.

ამ შემთხვევაში სასქესო ფუნქციის გაუმჯობესებაში

დაგვეხმარება სტატინები – პრეპარატები, რომლებიც დაბლა სწვენენ ლიპიდში ქოლესტერინის სინთეზს.

იპორწინეთი ჟჰკინანაზი!

მამაკაცის ჯანმრთელობა მისი ცოლის ინტელექტის დონეზე დამოკიდებულია, ასეთ დასკვნამდე მივიდნენ შვედი მეცნიერები. იგი ემყარება იმ გამოკვლევების შედეგებს, რომელშიც მილიონანავაზრმა ოჯახურმა წევრებმა მიიღო მონა-



ნაწილები. აი, მამაკაცის ინტელექტი ამგვარ ზემოქმედებას ცოლის ჯანმრთელობაზე არ ახდენს.

მეცნიერთა აზრით, ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ სწორედ ცოლი ღებულობს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ცხოვრების ოჯახურ წესთან დაკავშირებით, ასევე, იგი უმრავლეს შემთხვევაში ამტკიცებს კვების რაციონს. ამიტომ ბევრი რამ არის დამოკიდებული შემცველების დონეზე.

ბედნიერები არიან ერთად

ბედნიერი ქორწინება შეიძლება სიმსუქნის მიზეზი გახდეს, აღმოაჩინეს ამერიკელმა მეცნიერებმა. ამ დროს არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, ქორწინება ოფიციალურად არის დარეგისტრირებული თუ არა.

გამოკვლევაში მონაწილეობა 169 ოჯახურმა წევრმა მიიღო, რომლებიც დაქორწინდნენ ექსპერიმენტის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე. ოთხი წლის განმავლობაში ისინი ორჯერ წელიწადში ახსენებდნენ, თუ რამდენად არიან კმაყოფილი ერთად ცხოვრებით და თუ აპირებენ განქორწინებას. როგორც აღმოჩნდა, ქორწინებით კმაყოფილი ახალგაზრდა ცოლ-ქმარი უფრო მეტ კილოგრამებს აგროვებდა, ვიდრე ისინი, ვინც პარტნიორთან არ იყო ბედნიერი. კავშირი წონის მომატებასა და ცოლქმრობით კმაყოფილებას შორის აღმოჩნდა პირველად.

ღანიჯესტი

ბელაფონის აკრძალვა



საბარძნითი მასწავლებლებსა და მოსწავლეებს სასწავლო დაწესებულებებში მობილური ტელეფონებით სარგებლობა აკრძალეს.

აკრძალვის შემოღება განათლების სამინისტრომ მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც პოლიციაში მობილური ტელეფონით გადაღებული უხამსი შინაარსის ვიდეოჩანაწერი მოხვდა, რომელიც ქვეყნის ჩრდილოეთში ერთ-ერთ სკოლაში გადაიღეს.

დანაშაული და სსჯალი

ცოტა ხნის წინათ მოსკოვში საზარელი ტრაგედია დაატრიალდა: მთვრალი მძღოლი, ვინმე ამპქსიზოვი, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებაზე შეეკრძა და შეიძინა კაცის, მათ შორის სუთი ბავშვის, სიცოცხლე იმსხვერპლა!



მაქსიმალური სასჯელი, რაც ამ ტრაგედიის „ავტორს“ ემუქრება, 9 წლით თავისუფლების აღკვეთაა, ამიტომ ახლა რუსეთში მთვრალი მძღოლის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო სასჯელის უკიდურესად გამკაცრებაზე ალაპარაკდნენ.

აკოლოგიის გასაუმჯობესებლად

მედიკამენტების ქვეყნებმა შარშან 1 სექტემბრიდან შეწყვიტეს 15, 25 და 45 ვოლტის სიმძლავრის განურების ნათურების წარმოება და თავიანთ ტერიტორიაზე მათი შეტანა აკრძალეს.



ესაა ენერგოდაზოგ ღონისძიებათა მეოთხე სტადია, რომელიც გარემოს დაცვაზეა მიმართული. სამი წლის წინათ ევროკავშირმა 100 ვატისა და უფრო მძლავრი ნათურების წარმოება აკრძალეს.

ყველაფერი ეს კი ელექტროენერჯის ხარჯის კლებისა და ატმოსფეროში სათბურის ეფექტის შემცირებაზეა მიმართული.

სან-ფერნანდოს გაჭირვება

ამერიკის შეერთებული შტატების პორნოსტუდიების ყველაზე დიდმა გაერთიანებამ გადაღებათა შეწყვეტისა და კარანტინის შემოღების შესახებ განაცხადა.

დიკოსებმა მოსახლეობაში სიფილისით დაავადების მკვეთრი ზრდა დააფიქსირეს.



დამლევი 150 სტუდია მდებარეობს. „შემოქმედებით“ პერსონალის საყოველთაო შემოწმებამ აჩვენა, რომ სიფილისით ორივე სქესის დაახლოებით ოცდაათი ვარსკვლავი და სტუდიების ოცი თანამშრომელია დაავადებული.

კოსმოსური სახეები

„მარსული სფინქსის“ ამბავი საყოველთაოდ აღიქვამილი: 1976 წელს ამერიკულმა კოსმოსურმა ნომალდმა „ვიკინგ-1“-მა ფოტოსურათი გადაიღო, რომელზეც... ადამიანის სახე იყო აღბეჭდილი.



თუმცა მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ ესაა მარსის ზედაპირზე ქარის მიერ გამოფიტული, მზის სხივების დაცემის დაბალი კუთხით განათებული ბორცვი, მაგრამ მოგვიანებით იმავე ადგილის გადაღებულ ფოტოებზე სახე აღარ ჩანს.

გ ა ნ ს ს ა დ ე ბ ა

მეორე აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306მ მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს რამაში თამაზი ოლლის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

- აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:
1. უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: კასპის რაიონი, სოფელი ფერმა (საკადასტრო კოდი: 67.06.35.163), სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი დაზუსტებული ფართობით 2202 კვ.მ.;
2. უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით;
3. უძრავი ქონების საწყისი ფასი: 11566,75 ლარი, პლიუს სპეციალისტის მომსახურების საფასური - 925,32 ლარი;
4. აუქციონის დაწყების დრო: 2013 წლის 20 აგვისტო, 15:30 საათი;
5. აუქციონის ჩატარების ადგილი: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;
6. უძრავი ნივთის შესაკუთრე: რამაში თამაზი ოლლი (პირადი №24001015588), მისამართი: კასპი, სოფელი ფერმა;
7. მოვალეობები: რამაში თამაზი ოლლი (პირადი №24001015588) და ილხანაა ამრალოვი (პირადი №24001015591);
8. აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), თურქული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31;
9. აუქციონის პირობები:

აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და შესაკუთრეს;
მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები კასპის რაიონი, სოფელი ფერმაში (საკადასტრო კოდი: 67.06.35.163) მდებარე უძრავ ნივთზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2013 წლის 20 აგვისტოს, 15:30 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

კაღრი



ცინცხალი ანაკლოტივი

- ბი, იმ გოგოსთან ერთად სკოლაში ერთ მერხზე ვისხედით, მერე დავეკორწინდით, ბავშვები გაგაჩინეთ.
- მერე?
- მერე? მერე გადაგვყვეს.
- ბბბ, ყმანვილო, ბილეთი აიღეთ! - ეუბნება ავტობუსში კონდუქტორი ქალი მამაკაცს.
- მე მარტოხელა მამა ვარ.
- და რამდენი შვილი გყავთ?
- ათი.
- დმერთო ჩემო, მერედა, როგორ უფლით ყველას?
- მე რატომ უნდა მოკუა-რო? ისინი თავიანთ დედებთან ცხოვრობენ.
- თქვენ?

- მე რა, ხომ გითხარით, რომ მარტოხელა მამა ვარ.
- დედა, გუშინ ქმარმა ისევ მიყვირა და კინალამ მცემა კიდევ, მეტი არ შემიძლია, შენთან გამდგომდგარ საცხოვრებლად.
- არა, საყვარელო, მან ამისთვის პასუხი უნდა აგოს. ამიტომაც მე გამდგომდგარ შენთან საცხოვრებლად.
- ძმბრი ძმაკაცებში გრიალებს. იმ მიზნით, რომ იგი რაც შეიძლება მალე დააბრუნოს სახლში, ცოლი მას მესიჯს უგზავნის: „მალე მოდი, მინდინარ!“ საათზე მეტი გავიდა, მაგრამ არც ქმარი ჩანს და არც მისი პასუხი. ცოლი მეორე შეტყობინებას უგზავნის: „კარგი, ნუ გეშინია, წადი სახლში, უკვე არ მინდინარ!“

ავტორთა სახურადავადი
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
საქართველოს რესპუბლიკის გამომცემელი
გ. ახვლედიანის (მთვინი) პერმუსკაიბის) d. 19
ISSN 2233-3851
მორიგე პასუხისმგებელი რედაქტორი სპარტაკ ძოგულია
299-62-77; 599 36-00-35
რედაქტორთა საბჭო:
ალექო ს. სანინი 599 56-81-86
გურამ გოგიანი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა გვახაძე 54 33-33-24